ახალი განათლება

04-10.06.2020

№20 (894) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge




# პირველკლასელთა საყოველთაო რეგისტრაციის დეტალები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, 2 ივნისიდან 25 ივნისის ჩათვლით, პირველკლასელთა რეგისტრაციის III ეტაპი დაიწყო.

რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე **registration.emis.ge** და მას ბავშვის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი უზრუნველყოფს.

იხილეთ საყოველთაო რეგისტრაციის ინსტრუქცია: **http://mes.gov.ge/s/DpHE2**

⇨ ელექტრონულად რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა 2 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება. დადგენილ ვადებში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად გაუქმდება.

⇨ რეგისტრაციის ბოლო IV ეტაპი 20 აგვისტოს დაიწყება და 10 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება. ამ ეტაპზე გამოთავისუფლებულ/ვაკანტურ ან დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე მოხდება იმ მოსწავლეთა რეგისტრაცია, რომლებიც I, II და III ეტაპებზე ვერ დარეგისტრირდნენ ან სურთ რეგისტრაციის შეცვლა. მოსწავლის რეგისტრაციას ამ ეტაპზე უზრუნველყოფს საჯარო სკოლა მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი აუცილებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

⇨ ამ ეტაპზე დოკუმენტაციის წარდგენა 20 აგვისტოს დაიწყება და10 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

**ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით:**

⇨ სკოლებში მოქმედებს საქმისწარმოების ახალი წესი, რომლის თანახმად, მშობლებს შეუძლიათ ელექტრონულად გადააგზავნონ განცხადებები თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ან სკოლის მიერ დადგენილი წესით უსაფრთხოების ნორმების დაცვით, მატერიალურად ჩააბარონ სკოლის ადმინისტრაციას; სკოლა ორი დღის ვადაში დაუდასტურებს მშობელს ელექტრონულ ფოსტაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის მიღებას.

⇨ ყველა მოთხოვნილი დოკუმენტის ელექტრონულად წარდგენის შემთხვევაში, სკოლა არ მოითხოვს დოკუმენტებს მატერიალური სახით და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დაადასტურებს მოსწავლის ჩარიცხვას.

*ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა იხელმძღვანელონ, ,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს N675 ბრძანებით და მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად არ მოითხოვონ დამატებით სხვა დოკუმენტები, რაც არ არის განსაზღვრული აღნიშნული ბრძანებით.*

**საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა:**

⇨ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის **თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).**

⇨ **მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).**

იხილეთ საჯარო სკოლების ელექტრონული ფოსტების მისამართები

*„სამოთხე" – ასე ჰქვია მერაბ აბრამიშვილის ნამუშევარს, რომელიც სოთბის ონლაინ აუქციონზე 43 750 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა!*



ახალი გამოწვევა

# მიიღებს თუ არა მოსწავლეთა შეფასება ფორმალიზებულ სახეს



**გასულ კვირაში, განათლების ანტიკრიზისული გეგმის წარდგენისას, განათლების მინისტრმა მოსწავლეთა შეფასების და წლიური ქულის განსაზღვრის ახალი მოდელი წარმოადგინა, რომელიც მისივე განმარტებით გულისხმობს თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალურ მიდგომას და, ამავე დროს, აკადემიური სტანდარტის შენარჩუნებასა და დაცვას. 2019-2020 სასწავლო წელს, მოსწავლეთა შესაფასებლად, განისაზღვრა შეფასების ორი სავალდებულო ფორმა – განმავითარებელი და განმსაზღვრელი. თუმცა, მოსწავლის შესაფასებლად, მასწავლებლებს სამინისტრომ შეფასების ალტერნატიული გზებიც შესთავაზა. მაგალითად, ერთ-ერთი ალტერნატივა გულისხმობს მოსწავლის 2019-2020 სასწავლო წლის წლიურ ქულად განისაზღვროს I სემესტრში მიღებული ქულა. 15 მაისს, საკანონმდებლო მაცნეში, გამოქვეყნდა შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც განათლების ანტიკრიზისულ გეგმაზე წარმოდგენილი მოსწავლის წლიური შეფასების განხორციელების წესი აისახა (ბრძანება).**

**რას ფიქრობენ შეფასების ახალ მოდელზე და როგორ აპირებენ სკოლები მოსწავლეების შეფასებას – ამ თემაზე საუბრისას ჩვენი რესპონდენტებისთვის ბუნდოვანია სამინისტროს პასუხი კითხვაზე – როგორ უნდა შეფასდნენ ის მოსწავლეები, რომლებიც ონლაინ სწავლებაში ვერ ჩაერთნენ, ამიტომ განმსაზღვრელი შეფასებების დაწერა, ამ ფონზე, უსამართლობადაც კი მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ არათანაბარ პირობებში ჩააყენებს იმ მოსწავლეებს, რომლებიც, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, განათლების მიღმა აღმოჩნდნენ. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ჩვენს განათლების სისტემაში ახლა იკიდებს ფეხს, აღიარებენ, რომ შრომატევადია, მაგრამ უპიროზოდ მოსწავლის შეფასების ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტად მიაჩნიათ.**



**თემო სუყაშვილი**
***მარნეულის №2 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი:***

✓ განმავითარებელი შეფასების დიდი ქომაგი ვარ, სკოლაშიც არა ერთი აქტივობა გავაკეთე, ჩვენი „სკოლავიზიის“ ფარგლებში. ვფიქრობ, სისტემამ ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს განმავითარებელ შეფასებას, რადგან ის, ძირთადად, ორიენტირებულია მოსწავლეში სხვადასხვა უნარების განვითარებაზე, მისი ძლიერი მხარეების წარმოჩენაზე, ასევე იმ სუსტ მხარესაც აჩვენებს, სადაც გარკვეული ჩამორჩენაა და სასურველია, გავაძლიეროთ მუშაობა. ძალიან საინტერესოა მოსწავლეთა პორტფოლიოების იდეა. მსოფლიოში რამდენიმე სისტემა ვიცი, სადაც უმაღლეს სასწავლებლებში მიღება ხდება არა მხოლოდ რაიმე გამოცდაზე მიღებული ქულებით, არამედ სკოლაში გაწეული შრომის შეფასებით. ძალიან კარგი იქნება, თუ საქართველოშიც დაგროვდება მსგავსი გამოცდილება და მსგავს პრაქტიკას გადმოვიტანთ – შევაგროვებთ მოსწავლის მონაცემებს, რას აკეთებდა სკოლაში, რა პროექტებში მონაწილეობდა, რისი ინიციატორი, ავტორი თუ განმახორციელებელი იყო, ვისთან თანამშრომლობდა სკოლაში სწავლის დროს – თემთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ან სხვა ორგანიზაციებთან და ა.შ. ძალიან კარგია ამ ინფორმაციის პორტფოლიოში თავმოყრა, მაგრამ, მეორე საკითხია, როგორია ჩვენი მზაობა ამასთან მიმართებაში. დღევანდელი გადმოსახედიდან, ეს არ არის იოლად გასაკეთებელი.

ისევ განმავითარებელ შეფასებას დავუბრუნდები და გეტყვით, რომ მე პირადად, დისტანციური სწავლების პროცესში, მთლიანად განმავითარებელ შეფასებაზე ვარ გადასული. მუდმივად ვცდილობ დავხვეწო, რადგან არ არის ადვილი, ყველა მოსწავლეს დაუწერო ნაშრომზე კომენტარი, ვინც დავალებას ასრულებს, თან შეფასება არ უნდა იყოს ხისტი, უფრო რეკომენდაციის ხასიათი უნდა მისცე – მაგალითად, ხომ არ გააუმჯობესებდი სამომავლოდ... არც დროის და არც შრომის თვალსაზრისით ეს მარტივი არ არის.

✓ ვინაიდან ჩვენმა განათლების სისტემამ მიმდინარე სასწავლო სემესტრის აკადემიურად გამოცხადება გადაიფიქრა (ამას მივესალმები და საწინააღმდეგო არაფერი მაქვს), პედაგოგებს მოსწავლეების შეფასება მოგვიწევს და თუ მართლა სასწაული არ ხდება, ყველა მოსწავლე უნდა შევაფასოთ გადამსვლელი ქულებით. ყოველ შემთხვევაში, მე ასე უფრო სწორად მიმაჩნია, რადგან, სავარაუდოდ, ფორმალიზებულ შეფასებას, ნაწილობრივ მაინც, თავს ვერ ავარიდებთ. ჩემი თვალთახედვით, შეფასება ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება ობიექტური – დაბალ შეფასებას დავწერთ თუ მაღალს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არც ის შეფასება არის ობიექტური, რასაც აქამდე სკოლაში ვწერდით (ამას პირადად ჩემს თავზე ვამბობ და, ბუნებრივია, ყველას არ ვგულისხმობ). მეტსაც გეტყვით, ჩემ მიერ დაწერილი ათიანები და ხუთიანები არანაირად არ არის ობიექტური, ალბათ, იშვიათი გამონაკლისები თუ იტვიან, რომ მოსწავლე ნიშნით ობიექტურად ფასდება და რასაც იმსახურებს, იმას იღებს – გაუგებარია, ციფრით როგორ უნდა შეაფასო რა გააკეთა, როგორ გააკეთა, რაში ვუწერთ, როგორ ვუწერთ ჟურნალში მიმდინარე ნიშანს. ამიტომ, ახლა ორმაგი ფორმალური პროცესი გამოდის, ანუ ჯერ იქ რაც გვიწერია, ის არ არის ობიექტური და ახლა რასაც დავწერთ, ის ხომ საერთოდ არ იქნება. თან ამ ყველაფერს ემატება ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაც – როგორ შევაფასოთ მოსწავლე, რომელიც ინტერნეტზე და ტექნიკურ მოწყობილობებზე ხელმისაწვდომობის არქონის გამო ვერ ესწრება ონლაინ გაკვეთილებს? აქ ჩნდება კითხვა, რომელზე პასუხიც ბუნდოვანია.

✓ პორტფოლიოში თავისთავად განმავითარებელი შეფასებებიც აისახება. ეს მოსწავლის შესაძლებლობების მთლიანი სურათია. მაგალითად, აბიტურიენტს/მოსწავლეს უნდა ჩააბაროს ჟურნალისტიკის მიმართულებით, გამოცდებზე ძალიან კარგი ნიშნები მიიღო, მაგრამ მის პორტფოლიოში აღმოჩნდა,რომ არაფერი უკეთებია ამ მიმართულებით, არ ჩანს არც მისი თანამშრომლობითი უნარები, არც აქტიურობა და ა.შ. საპირისპირო სიტუაცია რომ წარმოვიდგინოთ – იმ მოსწავლის პორტფოლიოში, რომელმაც გამოცდებზე მაღალი ქულები ვერ მიიღო, შეიძლება აღმოჩნდეს მონაცემები, რომელიც მიანიშნებს ლიდერობის ან კომუნიკაციის საუკეთესო უნარებზე და ა.შ. ანუ არაფორმალური განათლების მიმათულებით, მას ძალიან კარგი შეფასებები აქვს. ეს გიჩვენებს მოსწავლის შესაძლებლობებს ყველა კუთხით, რადგან მხოლოდ საგანში მიღებული ციფრით/ნიშნით მის შესაძლებლობებს ვერ ვამოწმებთ, ამიტომ კარგი იქნება, თუ უმაღლესები აბიტურიენტებს პორტფოლიოს მიხედვითაც შეაფასებენ. თუმცა, ეს პრაქტიკა, როგორც გითხარით, ჩვენთან არ არსებობს, მეტიც, არც მოსწავლის პორტფოლიოს წარმოება სავალდებულო. ამ თემებზე – მოსწავლის პორტფოლიოს წარმოებასა და განმავითარებელი შეფასებების მნიშვნელობაზე, ჯერ კიდევ კატის გამოცდების გაუქმების დროს, ნინო ზაუტაშვილის გადაცემაში „რეალური სივრცე“ ვისაუბრე. ვამბობდი, რომ მთლიანად შესაცვლელია შეფასების სისტემა და არა მარტო გამოცდები, ახლა კი, განვითარებულმა მოვლენებმა და იმ რეალობამ, რომლის წინაშეც აღმოჩნდა განათლების სისტემა, ეს მოსაზრება კიდევ უფრო განმიმტკიცა. ნიშანი/ქულა შეიძლება დაიწეროს ტესტის შემთხვევაში, იმავე კომპლექსური დავალებების შეფასებისას, რომელიც ახლა შემოდის პროცესში, თუნდაც, თვეში ერთხელ და არა ყოველდღიურ რეჟიმში. ხაზს ვუსვამ იმას, რომ განმსაზღვრელ შეფასებაზე მთლიანად არ ვამბობ უარს, უნდა დარჩეს (იგივე სემესტრის ნიშანი გამოითვალოს განმსაზღვრელი შეფასებით), თუმცა, ეს შეფასებაც აუცილებლად განმავითარებელ შეფასებას უნდა დაეფუძნოს.



**ლაურა გოტიაშვილი**
***ძმუისის საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი:***

✓ ჩემთვის განმავითარებელი შეფასება უფრო მისაღებია, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების სტუქტურას ნაკლებად იცნობენ, რის გამოც თავს არიდებენ ხოლმე. ამასთან ერთად, საკმაოდ შრომატევადია და ვფიქრობ, ამის გამო კიდევ უფრო ნაკლებად გამოიყენება მასშტაბურად. არადა, განმავითარებელი შეფასება სწავლების ხარისხის გაზრდისა და მოტივაციის ამაღლების კუთხით გაცილებით უფრო ეფექტურია. მე პირადად, მანამდეც ვიყენებდი და ახლაც აქტიურად ვიყენებ დისტანციური სწავლებისას.

✓ რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, ჩემი გადმოსახედიდან, ამ ვითარებაში, უსამართლოა მოსწავლეების განმსაზღვრელი შეფასებებით შეაფასება. უსამართლოა, რადგან მოსწავლეთა, თუნდაც, მცირე ნაწილი ონლაინ გაკვეთილებში ვერ ერთვება. ჩემი სკოლის მაგალითზე გეტყვით, რომ, სამწუხაროდ, მოსწავლეებს არ ჰქონდათ ფინანსური შესაძლებლობა, ჩართულიყვნენ ონლაინ სწავლებაში. დირექტორმა და დამრიგებლებმა საკუთარი ხარჯებით გააქტიურეს ინტერნეტი, ჩემი სკოლა მცირეკონტინგენტიანია და ეს მოხერხდა. იქ, სადაც უფრო მეტი ბავშვია, რა უნდა ქნან? ამის გარდა, გვყავს ისეთი მოსწავლეებიც, რომლებსაც ინტერნეტი კი არა, არ აქვთ არც ტელეფონი და არც კომპიუტერი, ისინი როგორ ჩაერთონ ონლაინ სწავლებაში? როგორ უნდა მოხდეს ამ მოსწავლეების შეფასება? მით უფრო, განმსაზღვრელი შეფასებებით და როგორ დავუწეროთ ქულები იმაში, რაც საერთოდ არ უსწავლიათ? ასეთი ბავშვი კი, სამწუხაროდ, არც თუ ცოტაა საქართველოში, განსაკუთრებით სოფლის სკოლებში.

ბავშვებს ხშირად რცხვენიათ ხოლმე ამ პრობლემებზე საუბარი, ერიდებათ მშობლებსაც, საბოლოოდ კი, ვიღებთ ისეთ მდგომარეობას, თითქოს, უპასუხისმგებლოები არიან. სინამდვილეში კი, ზურგს უკან ძალიან მძიმე სოციალური ფონია. გარდა იმისა, რომ ამ ბავშვებს დიდი პასუხისმგებლობა აქვთ, ძალიან ენატრებათ კლასელებიც და მასწავლებლებიც და სურვილი აქვთ, დანარჩენებთან ერთად ისწავლონ დისტანციურდ.

ამიტომ არ მიმაჩნია მიზანშეწონილად მათი განმსაზღვრელი შეფასებებით შეფასება. კიდევ არც იმის გამო, რომ ბავშვების დიდ ნაწილს, საკუთარი ოთახი კი არა, საკუთარი მაგიდაც არ აქვთ, რომ დასხდნენ და მშვიდად ჩაერთონ ონლაინ სწავლების პროცესში. ჩამოთვლილ პრობლემებს, ალბათ, ბევრი მასწავლებელი აწყდება და დარწმუნებული ვარ, ჩემსავით ისინიც ძალიან განიცდიან.

✓ თუმცა, სკოლას აქვს არჩევანის საშუალება, თავად გადაწყვიტოს, წლიური ნიშნის გამოსაყვანად, შემოთავაზებული ვარიანტებიდან რომელ შეფასებას გამოიყენებს. პირველი და მეხუთე კლასის ჩათვლით, ისედაც არ იწერება ქულები და ამიტომ განმსაზღვრელი შეფასებების გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მეხუთედან ზევით კლასებში. თუ განმავითარებელ შეფასებას გავაკეთებთ, ეს მოსწავლის შესაძლებლობების დეტალური

## ახალი გამოწვევა

დახასიათების შესაძლებლობას მოგვცემს, ამით მოსწავლეც უკეთ აფასებს თავის თავს. მასწავლებელი აფასებს მოსწავლეს წინა სემესტრშიც, მიმდინარე სემესტრშიც და სამომავლო მიზნებსაც უსახავს, მართლა ძალიან შრომატევადია განმავითარებელი შეფასების გაკეთება, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან კარგი ინსტრუმენტია მოსწავლის გასავითარებლად. ამ მეთოდს აქამდე მასწავლებელთა უმეტესობა თითქმის არ იყენებდა, არადა ვინც იყენებს, ის სექტემბრიდანვე იწყებს ბავშვის შესახებ პორტფოლიოს შედგენას. ასეთ მასწავლებლებს, ბუნებრივია, არ უჭირთ ბავშვის განმავითარებელი შეფასების დაწერა და მათთვის, ვისაც აქამდე არ უმუშავიათ, რთულია.

– ამ სიტუაციაში განმავითარებელი შეფასება მაინც ოპტიმალურ გამოსავლად მიმაჩნია, რადგან ეს ყველაზე ნაკლებად მტკივნეული იქნება მოსწავლისთვისაც და მასწავლებლისთვისაც. მთავარია დაინახო, რომ მოსწავლე ცდილობს, ხშირ შემთხვევაში, მაქსიმუმსაც აკეთებს, ასეთ პირობებშიც კი, ამიტომ, წინა სემესტრზე დაყრდნობით და დისტანციურ სწავლებაში ჩართულობის მიხედვით, მის შესაფასებლად, განმავითარებელი შეფასება სრულიად საკმარისია.

✓ უთანასწორობის პრინციპის დარღვევის გამო კი, განმსაზღვრელი შეფასებებისგან თავი უნდა შევიკავოთ – თუნდაც, ერთი ბავშვიც რომ დაიჩაგროს იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო ონლაინ სწავლებაში ჩართვა, ჩემი აზრით, დიდი უსამართლობა იქნება. მართალია, „ტელესკოლა“ წარმატებული პროექტია და ძალიან გვეხმარება, მაგრამ ბავშვს, რომელსაც არა აქვს ისეთი მობილური ტელეფონი, რომელიც სურათს იღებს და საშინაო დავალებას ვერ მიგზავნის, უკუკავშირი როგორ მივცეთ?

ხშირად, იცით, რას ვაკეთებ? ტელეფონით ვუკავშირდები ჩემს მოსწავლეებს და ვუხსნი მასალას, რამდენადაც ეს შესაძლებელია სატელეფონო საუბრით. ხანდახან ისეთი შემთხვევებიც არის, როცა დამატებით სატელეფონო გაკვეთილს ვუნიშნავ. მე უცხო ენას ვასწავლი და ელემენტარულად იმას მაინც ვიგებ, მოსწავლემ ისწავლა თუ არა სიტყვები, ამაში მშობელიც აქტიურად მეხმარება, მაგრამ ასეთი სწავლებით, დამერწმუნეთ, განმსაზღვრელი შეფასების დაწერა გამიჭირდება.

✓ საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, მოსწავლეების შეფასება საჭიროა, ოღონდ განმავითარებელი შეფასებით – მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც ცდილობენ, შრომობენ და ეს მცდელობა და შრომა წყალში არ უნდა ჩაიყაროს. ამ პროცესებში აქტიურად არიან ჩართული, ასევე,მშობლებიც – სამივე მხარემ, ამ ურთულეს პირობებში, დიდი შრომა გასწია, რომელიც უფრო უნდა დაფასდეს, ვიდრე ქულებით შეფასდეს. 16 მარტიდან მოყოლებული დღემდე, პირადად მე, სამჯერ უფრო მეტს ვშრომობ, ვიდრე მანამდე ვშრომობდი. მაგალითად, ოქტომბერში ან ნოემბერში. სრულიად ახალი გამოწვევის წინაშე აღმოვჩნდით, ონლაინ მეთოდების გაცნობა და დახვეწა ძალიან რთული აღმოჩნდა ყველასთვის. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს სასწავლო წელი, რაც შეიძლება ფრთხილი მიდგომებით უნდა დავასრულოთ ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დავსტრესოთ ისედაც დასტრესილი მოსწავლეები, მით უფრო ისინი, ვინც საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ აღმოჩნდნენ ონლაინ სწავლების მიღმა. ყველას უნდა მივცეთ შანსი, სწავლა გააგრძელონ მომდევნო ეტაპზე.



**ნანა მონიავა,**
***თბილისის № 63 საჯარო სკოლის დირექტორი:***

✓ შეფასებისთვის რამდენიმე ვარიანტი შემოგვთავაზეს. ერთი შეხედვით, ვინმემ შეიძლება ჩათვალოს, რომ პირველი ვარიანტი, სადაც წერია, რომ პირველი სემესტრის შეფასების მიხედვით შეფასდეს მეორე სემესტრიც, უფრო ხელსაყრელია. თუმცა, ეს შეიძლება საინტერესო იყოს მხოლოდ იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც, მაგალითად, მუდმივად კარგად მეცადინეობენ, მნიშვნელობა არა აქვს სასწავლო წლის დასაწყისია თუ დასასრული. მაგრამ არიან ბავშვები, რომლებსაც თავიდან ცოტა უჭირთ ხოლმე, მერე უფრო აუმჯობესებენ და მეორე სემესტრში კარგ შედეგებს აჩვენებენ. გამოდის, რომ ასეთ მოსწავლეებს არ მივცემთ იმის საშუალებას, რომ რაც მეორე სემესტრში გააკეთეს, ის წარმოაჩინონ და ადეკვატურად შეფასდნენ. ან პირიქით, შეიძლება ვინმემ უფრო ცუდად იმეცადინა და ა.შ. ამიტომ, ჩვენი აზრით (ჩემს მასწავლებლებსაც ვესაუბრე და განვიხილეთ ეს საკითხი), ბოლომდე მისაღები არ არის პირველი ვარიანტი, რომ პირველი სემესტრის ნიშნები გადავიტანოთ უცვლელად და წლიური ქულაც ასე გამოვიყვანოთ. კიდევ ვიმეორებ, შეიძლება ვინმესთვის ეს კარგია, მაგრამ, ჩვენთვის მისაღები არ არის. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ გამოვიყენოთ მეორე ვარიანტი და წლიური ქულა პირველი სემესტრის ქულებისა და, მეორე სემესტრის ექვსი კვირის მიხედვით გამოვიყვანოთ, ამას დავამატოთ დისტანციური სწავლების დროს დავალებებზე გაკეთებული შეფასებებიც. მოსწავლის შრომა არც ერთ ეტაპზე არ უნდა დაიკარგოს. კარგია, რომ სამინისტრომ ალტერნატივა მოგვცა და მხოლოდ ერთი ვარიანტით არ გვთხოვს შეფასებას.

✓ დისტანციურ სწავლებაში ჩართული იყო სკოლის მოსწავლეთა 99 პროცენტი, ამდენად, დისტანციური სწავლების შეფასება არ გაგვიჭირდება. ძალიან ცოტანი იყვნენ ისეთები, რომლებიც თიმსში ვერ შემოდიოდნენ იმის გამო, რომ რაიონებში იყვნენ წასულები და იქ ტელეფონი არ იჭერდა. თუმცა, მესენჯერით, პერიოდულად, მათთან მაინც ვახერხებდით დაკავშირებას. დანარჩენი კი, როგორც გითხარით, ჩართულია დისტანციურ სწავლებაში. ე.წ. კომპლექსური დავალებები, ზოგიერთ საგანში, ორი მაინც გვაქვს გაკეთებული, ეს კი, რეალურად გვაძლევს იმის საშუალებას, რომ შეფასებები მეტ-ნაკლებად სამართლიანი იყოს.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, განმავითარებელ შეფასებას, რა თქმა უნდა, მეც და ჩემი სკოლის მასწავლებლებიც ვიყენებდით – ყველა ნამუშევრის შემდეგ, მასწავლებლები აკეთებენ კომენტარს და ეს ძალიან ხელსაყრელია როგორც მშობლისთვის, ასევე ბავშვისთვის. ყველა ნამუშევარი, საშინაო დავალება იყო თუ სხვა აქტივობა კომენტირებულია მასწავლებლის მიერ – მაგალითად, რაზე გააკეთოს აქცენტი, რომ გააუმჯობესოს შედეგი ან რა გამოუვიდა კარგად. ბავშვები მართლა ცდილობენ, ასეთი შეფასებების შემდეგ, გაუმჯობესებული ნამუშევრები გადმოაგზავნონ. ბევრად უფრო დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ყველაფერს. შეფასების პროცესიც უფრო ღიაა და მშობლების ჩართლობაც უფრო მაღალი.

✓ კომპლექსური დავალება შეიძლება მოიცავდეს 8-10 გაკვეთილს. ამ ხნის განმავლობაში, მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით ფასდება და მას საშუალება აქვს, მასწავლებელთან ერთად, იმუშაოს შესრულებული დავალების გაუმჯობესებაზე. დღეს შეიძლება, პირობითად, მან ექვს ქულაზე შეძლოს დავალების შესრულება, მაგრამ მესამე სამუშაო დღეს იმდენად გააუმჯობესოს, რომ 9 ქულაც დაიმსახუროს. კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში მოსწავლეს, რომელსაც დასაწყისში ხუთი ეკუთვნის, ბოლოს შეიძლება ათიც დაეწეროს, ანუ მან ეს განმავითარებელი შეფასების შედეგად შეძლოს.4

სასურველია, განმავითარებელი შეფასება ცხრილის მიხედვით გაკეთდეს, რომელიც დონეებად იქნება დაყოფილი – დაბალი, საშუალოზე დაბალი, საშუალო, საშუალოზე მაღალი და კარგი. ხუთდონიან შეფასებებში, პირობითად, თუ მონიშნავ საშუალოზე მაღალს, ეს ნიშნავს, რომ მას 7-8 ქულას შეუსაბამებ და ა.შ. კლასიდან კლასში გადასაყვანი ქულა 5-ზე დაბალი არ უნდა იყოს.

✓ მე თვითონაც ვასწავლი ახლა მეოთხე კლასს და მინდა გითხრათ, რომ ერთ-ერთი საკითხი, რომელიც გეგმის მიხედვით მქონდა გათვალისწინებული, რომ ამ პერიოდში მესწავლებინა, ვერ ვასწავლე – უნდა დამეწყო წილადების სწავლება, მაგრამ ვერ დავიწყე. თუმცა, ეს არანაირად არ ქმნის შფოთვისა და შიშის საფუძველს, რადგან ეს თემა ვერ გავიარე, მე ეროვნულ სასწავლო გეგმას ჩამოვრჩი, იმიტომ, რომ სტანდარტი არ მავალდებულებს, რომ წილადები მაინც და მაინც მეოთხე კლასში ვასწავლო. სტანდარტის მიხედვით, მოსწავლეებს წილადები დაწყებით საფეხურზე უნდა ვასწავლო და ამიტომ, ვალდებულება მაქვს, ეს თემა საფეხურის მიხედვით გავიარო და არა კლასის მიხედვით. ასე რომ, ნებისიერი თემა, რომელსაც ახლა ვერ მოვასწრებთ, გადავიტანოთ შემდეგ კლასში, რადგან ჩვენი სტანდარტი საფეხურების მიხედვითაა გათვლილი.

✓ სამწუხაროა, რომ სისტემას ჰყავს მოსწავლეები, რომლებიც ვერ ერთვებიან ონლაინ სწავლებაში. ასეთ მოსწავლეებთან აუცილებლად მოგვიწევს ინდივიდუალურად მუშაობა, არც ერთი მოსწავლე არ უნდა დარჩეს იმ პროგრამის მიღმა, რომელიც მისმა თანაკლასელებმა გაიარეს, მან კი, გარკვეული მიზეზების გამო, ეს ვერ შეძლო. თუკი სკოლაში ასეთი ბავშვი ბევრია, მაშინ ასეთმა სკოლამ შეფასების სწორედ პირველი ვარიანტი შეიძლება აირჩიოს და, თანასწორობის პრინციპი რომ დაიცვას, მოსწავლეები პირველი სემესტრის ქულებით შეაფასოს. თუმცა, როგორც გითხარით, ამას ყველა სკოლა თავად გადაწყვეტს, შეთავაზებული ვარიანტებიდან მისთვის ხელსაყრელს აირჩევს.



**ელისო აბრამიშვილი**
***საჩხერის №2 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი:***

✓ ჩემი აზრით, მოსწავლე უნდა შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით, რომლის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი მოსწავლის პორტფოლიოს წარმოება და მასზე დაკვირვებაა. შესაბამისად, ის უკუკავშირი, რომელიც ყველა დავალების შემდეგ ხდება, უფრო მკაფიო პასუხს იძლევა, რა იცის მოსწავლემ კარგად ან რა უნდა განავითაროს და როგორ. რაც მთავარია, ამით მოსწავლემ თვითონვე უნდა შეძლოს საკუთარი თავის შეფასება. ეს, ალბათ, დაახლოებით, ისეთივე გამოწვევა იქნება მასწავლებლებისთვის, როგორც დისტანციური სწავლება იყო და იმედი მაქვს, ყველაფერს კარგად გავართმევთ თავს, რადგან ჩვენი უმთავრესი ამოცანა კონკურენტუნარიანი და მოაზროვნე მოქალაქეების გაზრდაა, რომლებმაც 21-ე საუკუნის გარემოში უნდა დაიმკვიდრონ თავი. შესაბამისად, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ დროს განმავითარებელი შეფასებაა. რეალურად, მასწავლებელთა უმრავლესობას, დისტანციური სწავლებისას, ამის კეთება ყოველდღე უწევს, დავალებებზე უკუკავშირით. ასევე, იმ განმსაზღვრელი შეფასებებითაც, რომელსაც, გარკვეული თავის ან თემის დასრულების შემდეგ, ტესტირების სახით ვაკეთებთ.

✓ საშინაო დავალებაზეც მინდა ყურადღების გამახვილება, რადგან აუცილებლად მიმაჩნია, რომ მოსწავლეს დავალების არჩევანის საშუალება უნდა მივცეთ – მან უნდა აირჩიოს მისთვის სასურველი დავალება და დააკავშიროს გარემოსთან. ამაში ძალიან გვეხმარება კომპლექსური დავალებები, რომელიც სწორედ იმ შემოქმედებითობასა და საგანთა შორის ინტეგრირებას მოითხოვს, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდი და რაც მთავარია, იმ უნარების განვითარებას უწყობს ხელს, რაც 21-ე საუკუნის მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ, კომპლექსური დავალება, რომელსაც ახლა გვთავაზობენ, ცოდნის შემაჯამებელიც უნდა იყოს და, ამავდროულად, შემოქმედებითი, პრაქტიკულიც და დისკუსიის საშუალებასაც უნდა აძლევდეს მოსწავლეს. მას კითხვაზე მხოლოდ ერთი მზა პასუხი არ უნდა ჰქონდეს, უნდა ეძებოს და იაზროვნოს და ისე მივიდეს სწორ პასუხამდე. რაც მთავარია, საგნებში მიღებული ცოდნა ცხოვრებაში უნდა გამოიყენოს – ამის საჭიროება უნდა დაინახოს. მერწმუნეთ, ამას მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასებით ვერ მივაღწევთ, განმავითარებელი უკუკავშირი, საშინაო დავალებასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია.

✓ ჩემი ძირითადი მოლოდინი განმავითარებელ შეფასებაზე სწორედ ეს არის და მეტიც, თუ გვინდა, ხელი შევუწყოთ დიფერენცირებულ, მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, ალბათ, ამის გარეშე შედეგს ვერ მივაღწევთ. ჩვენი სკოლის მნიშვნელოვანი ტაქტიკაა – აწარმოოს მოსწავლის პორტფოლიო, რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენს თითოეული მოსწავლის საჭიროებასა და მიღწევებს. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია, მასწავლებელს, მოსწავლეს, მშობელსა და დირექციას შორის ურთიერთობა/თანამშომლობა იყოს დაბალანსებული – თანამშრომლობითი გარემო გადამწყვეტია სკოლაში, რაც უმეტესწილად მმართველი რგოლის, დირექტორის დამსახურებაა, ამ შემთხვევაში, ჩემი სკოლის მაგალითზე და ჩვენს დირექტორზე, ლიკა გომართელზე ვსაუბრობ. მისი ძალისხმევით, სკოლაში ისეთი მეგობრული, თანამშრომლობითი გარემო ჩამოყალიბდა, რომ ამ რთულ პერიოდშიც კი, მასწავლებლების, მშობლების, სასწავლო ნაწილის და პირადად მისი ჩართულობით, კლუბური მუშაობის გაგრძელებაც კი შევძელით – სკოლაში არაფორმალურ განათლებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა.

✓ ამის გარდა, ერთობლივად გადავჭერით პრობლემები, რომელიც ჩვენს მოსწავლეს ჰქონდა ინტერნეტთან დაკავშირებით – ერთობლივი ძალებით შევუძინეთ მოდემი. ასეთი ტრადიცია გვაქვს: ყოველი კვირის ბოლოს, სკოლაში, სპეციალურ ყუთში მოსწავლეებს დაბეჭდილ დავალებებს ვუტოვებთ. მშობლები მოდიან და მიაქვთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ერთობლივი თანამშრომლობით ამ პრობლემებს დავძლევთ, რადგან თავიდან ონლაინ სწავლებაც ხომ ასე რთული გვეგონა. მახსოვს, როგორ არაკომფორტულად ვგრძნობდი თავს გაკვეთილზე ჩართვისას, მაგრამ დღეს ეს უკვე ჩემი ცხოვრების ყოველდღიურ ნაწილად იქცა და ისეთივე ჩვეულებრივია ონლაინ სივრცე, როგორც ცოტა ხნის წინ საკლასო ოთახი იყო. თითქოს მუდმივი კავშირი გაქვს მოსწავლესთან სწორედ განმავითარებელი შეფასებით – ყოველდღიურად უგზავნი დავალებას, მერე ის შესრულებულს გიტვირთავს, მერე ასწორებ და უგზავნი უკუკავშირს, აძლევ რეკომენდაციებს, რომელსაც მოსწავლე ისევ თავიდან უბრუნდება და ასე გრძელდება უწყვეტად, ვიდრე სასურველ შედეგამდე არ მიხვალ. შეფასებები კი, მხოლოდ და მხოლოდ, მის განვითარებაზეა ორიენტირებული – ეს არის რჩევებით უკეთეს შედეგამდე მისასვლელი გზა, რომელსაც მოსწავლეები გაცილებით უფრო მოტივირებულები გადიან, უკეთესად მოქმედებს მათზე – მოდი ახლა ამას ასე გავაკეთებ, წინა ჯერზე რაღაც არ გამომივიდა... ეს იცით, რას ჰგავს? კარგი მეგობრის რჩევას, რომელიც ყოველთვის გულწრფელია შენთან და ცდილობს სწორი გზა დაგანახოს, თუ ამჩნევს, რომ რაღაც არასწორად გამოგდის. ჩვენც ხომ მთელი ცხოვრების განმავლობაში მუდმივად რაღაცას ვსწავლობთ, ვაუმჯობესებთ, სწორედ ასეა განმავითარებელი შეფასებისას, მაგრამ ამით მეც ბევრ რამეს ვსწავლობ მოსწავლეებისგან.

✓ ზოგადად, ამ ვითარებაში მოსწავლეთა შეფასება ძალიან საფრთხილო და ფაქიზი საკითხია, მაგრამ კარგია, რომ ამ თემაზე საუბარი ჩემი სკოლის მაგალითზე შემიძლია – რას ვაკეთებთ, როგორ გავერთიანდით მოსწავლეების დასახმარებლად, როგორ გაიზარდა მშობლების ჩართულობა და ა.შ. შემიძლია ისიც დაუფარავად გითხრათ, რომ დიახ, შრომატევადია განმავითარებელი შეფასებების კეთება, მაგრამ თუ მასწავლებლის დანიშულება მომავალი თაობის აღზრდაა, ბუნებრივია, ამ სირთულეს არ უნდა მოერიდო, ბოლომდე უნდა დაიხარჯო და თუ ასე არ ფიქრობ, მაშინ უარი უნდა თქვა ამ პროფესიაზე. ეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

# უნიკალური მოვლენა ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში



*უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით საქართველოს განათლების სისტემის კერძო და საჯარო სექტორი, შეძლებისდაგვარად, დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადავიდა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაც. მათ შორისაა თსუ საბავშვო უნივერსიტეტი, რომელიც მნიშვნელოვან, საინტერესო და შემეცნებით საქმიანობას დღეს დისტანციურად ეწევა, აქტიურადაა ჩართული ონლაინ სწავლებაში და უფრო მეტიც, მოსწავლეებთან ერთად, ახალი ინიციატივებისა და პროექტების განხორციელებაც დაიწყო.*

*თსუ საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ, ახალ წამოწყებებზე, პრობლემებსა და საჭიროებებზე გვესაუბრა თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, დოქტორი მარინა ლომოური.*

### მოკლე ისტორია – საბავშვო უნივერსიტეტი გუშინ და დღეს

დაარსების დღიდან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაერთი პროფესორი თუ სტუდენტი თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას სკოლასთან თანამშრომლობაში, მოსწავლეებთან მუშაობაში ხედავდა. თსუ საბავშვო უნივერსიტეტი აგრძელებს და ანვითარებს ამ ტრადიციას. ჩვენი საქმიანობა ემყარება და იზიარებს უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიული განვითარების პრინციპებსა და პრიორიტეტებს. უნივერსიტეტის პრიორიტეტული ამოცანა – მაღალი სტანდარტის საუნივერსიტეტო განათლების მქონე, კომპეტენტური, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის გამოშვებაა. ამ შედეგის მიღწევის წინაპირობას შესატყვისი სტანდარტის სასკოლო განათლების არსებობა წარმოადგენს. სკოლიდან მოსულ აბიტურიენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საუნივერსიტეტო პროგრამის დაძლევის პოტენციალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საუნივერსიტეტო განათლების დონის დაქვეითება გარდაუვალია. სასკოლო განათლების დღევანდელი ხარისხი გვაფიქრებინებს, რომ დროულია, ან სულაც გადაუდებელი და საჩქაროა, რომ უნივერსიტეტი მეტი აქტიურობით ჩაერთოს სასკოლო განათლების პროცესებში, სკოლას სწავლების ხარისხის აწევაში დაეხმაროს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უმაღლესი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას მოსახლეობის ყველა ფენის თუ ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდისათვის. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მუშაობას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელსაც თსუ საბავშვო უნივერსიტეტი მართებულად მიიჩნევს, გულისხმობს ფორმალური და არაფორმალური განათლების სფეროების ამოცანების გამიჯვნას. ფორმალური სასკოლო განათლება, რომელიც ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკით განისაზღვრება სკოლის კომპეტენციაა, ამ შემთხვევაში, თსუ საბავშვო უნივერსიტეტი დამხმარე ფუნქციას ასრულებს, სათანადო სალექციო თუ ლაბორატორული კურსების შეთავაზებით. რაც შეეხება არაფორმალურ განათლებას, ის თსუ საბავშვო უნივერსიტეტის კომპეტენციას წარმოადგენს. ზოგადი, მრავალმხრივი განათლების გარეშე თანამედროვე განათლებული ადამიანის წარმოდგენა შეუძლებელია. ევროკავშირის დოკუმენტები კარგად ასახავენ სასკოლო განათლებისა და სკოლისგარეშე არაფორმალური განათლების ურთიერთმიმართებას – ნაჩვენებია, რომ სასკოლო განათლების მხრივ წარმატებულ ქვეყნებში აქტიურია არაფორმალური განათლების ინსტიტუციები, ხოლო იქ, სადაც ასეთი აქტიურობა მცირეა, სასკოლო განათლების დონე არადამაკმაყოფილებელია. დაბოლოს, დღევანდელობის გამოწვევებმა კიდევ უფრო აქტუალური გახადა თსუ საბავშვო უნივერსიტეტის სოციალური ამოცანა – ხელი შეუწყოს თანამედროვე მოქალაქის აღზრდას.



2009 წლიდან თსუ საბავშვო უნივერსიტეტი სისტემატურად და გეგმაზომიერად მუშაობს განათლების სასკოლო საფეხურთან, როგორც თსუ-ს ბაზაზე, ასევე ადგილებზე – რეგიონებში და სოფლად. მოსწავლეებისათვის თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ნებისმიერ პროექტში მონაწილეობა თავისუფალი და უსასყიდლოა. 2015 წლიდან თსუ საბავშვო უნივერსიტეტმა ინსტიტუციური ფორმა შეიძინა – დღეს ის უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის ერთ-ერთი განყოფილებაა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში, თუმცა ჩვენ სისტემატურად ვმუშაობთ ამ ინიციატივის სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებში დასანერგად, რისთვისაც რამდენიმე რეგიონულ უნივერსიტეტს ადგილზე ვესტუმრეთ და გამოცდილება გავუზიარეთ.

### ადამიანები, რომელთა გარეშე საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობა შეუძლებელი იქნებოდა

ვის ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, „ჩვენ, თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“? ესენი არიან: თსუ საბავშვო უნივერსიტეტის პროექტების კოორდინატორი, დოქტორანტი დემეტრე მოდებაძე; წლების განმავლობაში თსუ საბავშვო უნივერსიტეტის თანამშრომელი იყო დოქტორანტი გიორგი გრიგოლაშვილი, რომელიც ეხლა თსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის უფროსია, მაგრამ ჩვენ ახლაც მჭიდროდ ვთანამშრომლობთ, მით უმეტეს, რომ გიორგი თსუ-ს კიდევ ერთი უნიკალური პროექტის, „თსუ-დესპანის“ ერთ-ერთი ავტორია, დღეს კი ამ პროექტს გიორგი და დემეტრე ერთად ხელმძღვანელობენ. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ჩვენ, საბავშვო უნივერსიტეტმა, სათანადო მადლიერება გამოვხატოთ უნივერსიტეტის რექტორის, გიორგი შარვაშიძის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ლაშა საღინაძის, უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსის, გია მამულაშვილის და უნივერსიტეტის მრავალი პროფესორ/მასწავლებლის, სტუდენტისა და თანამშრომლის მიმართ, ვისი მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე თსუ საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობა შეუძლებელი იქნებოდა.

### EUCU NET და „თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი“

თსუ-საბავშვო უნივერსიტეტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ეტაპი 2011 წელს დადგა, როდესაც ჩვენ ევროპის უნივერსიტეტთა საბავშვო უნივერსიტეტების გაერთიანებას EUCU NET – the European Universities Children's Universities Network შევუერთდით. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებში მხოლოდ ჩვენ ვართ ამ გაერთიანების წევრი. მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ამ უაღრესად მნიშვნელოვან ევროპულ საგანმანათლებლო ინსტიტუციასთან, რომლის ჰუმანისტური პრინციპები, იდეოლოგია და საქმიანობა სავსებით პასუხობს ჩვენს მიზნებსა და ამოცანებს. ამ გაერთიანების შტაბბინა ვენის უნივერსიტეტში მდებარეობს და რომ არა წლევანდელი Covid19-ის მოულოდნელი პანდემია, EUCU NET-ის ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენლები ამ გაზაფხულზე ჩვენთან, თსუ საბავშვო უნივერსიტეტში სტუმრობას გეგმავდნენ. რა თქმა უნდა, ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, რადგან ჩვენ საერთო პრიორიტეტები გვაქვს. პირველ რიგში ეს არის – ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა ყოველი მოსწავლისათვის – განურჩევლად ეთნიკური კუთვნილების, აღმსარებლობისა და სოციალური წარმომავლობის; ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღებაში დახმარება; საკუთარი თავის რწმენის განმტკიცება; საუნივერსიტეტო გარემოს გაცნობა და სხვ.

უკანასკნელ წლებში თსუ საბავშვო უნივერსიტეტის მუშაობის პოზიტიური შედეგები უფრო თვალნათლივი გახდა, გაიზარდა მისი აუდიტორია, გამოიკვეთა მოსწავლეების მზარდი ინტერესი ჩვენი პროგრამების მიმართ. მაგრამ ასევე ცხადი გახდა, რომ მოსახლეობის განათლების დონის ასაწევად მეტად ქმედითი, მიზანმიმართული ძალისხმევაა საჭირო. გარდა იმისა, რომ ქვეყნის სასკოლო განათლების სისტემის დღევანდელი მდგომარეობა, საერთაშორისო კვლევების შეფასებით, ზოგადად არადამაკმაყოფილებელია, აშკარად ჩანს განსხვავება ქალაქის და სოფლის, სხვადასხვა რეგიონის სკოლებს შორის. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდებს სკოლა არათანაბარ სასტარტო პირობებს უქმნის. ეს კი საგანგაშო ფაქტია და საზოგადოების მხრივ სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს.



წლების განმავლობაში ჩვენ მიერ მრავალი განსხვავებული ფორმატის პროექტი ხორციელდება. მათ შესახებ ინფორმაცია მისაწვდომია ჩვენს ვებგვერდზე (ამჟამად რეკონსტრუქციაშია) და ფეისბუკგვერდებზე, ასევე იუტუბზეც. შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი ტრადიციული პროექტები, როგორებიცაა: ექსკურსიების პროგრამა „დღე თსუ-ში“; „ნორჩთა სკოლების“ პროგრამები მოსწავლეებისათვის – ნორჩ ასტრონომთა, ეკონომისტთა, იურისტთა, გეოგრაფთა, ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა და სხვ.; ლაბორატორიული მეცადინეობები ფიზიკასა და ქიმიაში; სოციალურ საკითხებზე ფოკუსირებული სეზონური სკოლები და სადისკუსიო კლუბები; ლექციები პროფორიენტაციაში; კონფერენციები, კონკურსები, ვიქტორინები და ა.შ.; სისტემატურად ეწყობა გასვლითი ღონისძიებები რეგიონებში, შეხვედრები რეგიონების სკოლების მოსწავლეებთან და პედაგოგებთან.

### თსუ საბავშვო უნივერსიტეტი და ეთნიკური უმცირესობები

თსუ საბავშვო უნივერსიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მუშაობას. ქართული, ანუ სახელმწიფო ენის არასაკმარისი ფლობა, ჩვენი აზერი და სომეხი ახალგაზრდებისათვის, პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ ცხოვრებაში სრულფასოვან ინტეგრაციას. ამ პრობლემის დაძლევა სერიოზული გამოწვევაა და ჩვენ, თსუ-ს სხვა სამსახურებთან ერთად (მაგ., მოსამზადებელი პროგრამა აზერი და სომეხი აბიტურიენტებისათვის 1+4, ხელმძღვანელი – პროფ. კახა გაბუნია), ვცდილობთ დავეხმაროთ ამ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, გადალახონ ეს ნამდვილად სერიოზული დაბრკოლება. ამ მუშაობის კარგი მაგალითია ახალქალაქში ჩატარებული მოსწავლეთა სამენოვანი (ქართული, სომხური, რუსული) კონფერენცია „ჯავახეთი – ისტორია და გეოგრაფია“. ასევე, სისტემატური მუშაობა მარნეულის სკოლებში, სადაც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად, პროექტ „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში, ტარდება ლექციების ციკლი პროფორიენტაციაში და სხვ.



### ახალი გამოწვევის პირისპირ

ცხადია, რომ წელს, Covid 19-ის ეპიდემიის პირობებში, აღნიშნული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობები საგრძნობლად შეიზღუდა. გამოვლინდა პრობლემების მთელი სპექტრი, პრობლემები შეეხო ყველა ადამიანს, მიუხედავად ასაკისა, სქესისა, საცხოვრებელი ადგილისა და ა.შ. აღმოჩნდა, რომ განათლების პროცესის გარკვეულ დონეზე შენარჩუნება ამ პრობლემების ყველაზე რთული ასპექტი არ ყოფილა. აღმოჩნდა, რომ ჩვენი მოსწავლეებისა და მასწავლებლების ნაწილი, ფლობს რა თანამედროვე ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს — მატერიალურს და მენტალურს – მეტნაკლებად მზადაა სწავლების დისტანციურ ფორმაზე გადასასვლელად, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც გამოჩნდა, თუ რამდენი რამ აკლია სასკოლო განათლების სისტემას იმისათვის, რომ სისტემურად უზრუნველყოს ყველა მოსწავლის შეუფერხებელი წვდომა განათლების მიღების ამ მნიშვნელოვან შესაძლებლობაზე. არ შემიძლია არ აღვნიშნო ისიც, რომ სოფლებისა და დაბების სკოლების დიდ უმრავლესობაში არა თუ თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობა წარსებობს, არამედ ელემენტარული ჰიგიენური ნორმებიც კი დარღვეულია, მაგ.: ტუალეტების ყოვლად დაუშვებელი მდგომარეობა და წყლით მომარაგების არარსებობა. მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჯანმრთელობის დაცვის ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური უზრუნველყოფა ძალიან სერიოზული საკითხებია, რომლებიც ცალკე განხილვას საჭიროებს, ამიტომ აღარ გავაგრძელებ და თსუ საბავშვო უნივერსიტეტს დავუბრუნდები.

## თსუ – საბავშვო უნივერსიტეტი

ჯერ კიდევ იანვარ-თებერვალში, ქვეყანაში Covid 19-ის ეპიდემიის ოფიციალურ გამოცხადებამდე, ჩვენ მოსწავლეებს დისტანციური აქტივობები შევთავაზეთ, რომელზედაც წვდომა (თეორიულად, მაგრამ, სამწუხაროდ, არა პრაქტიკულად) მთელი ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობას აქვს (უნდა ჰქონდეს). მოსწავლეებს აქვთ საშუალება, თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ფეისბუკ და იუტუბ გვერდებზე, ნახონ მათთვის საინტერესო ლექციები, საუბრები, სხვადასხვა კონკურსები. ისევ და ისევ, ამ საქმიანობაში ჩვენი მეგობრები, უნივერსიტეტელები და არაუნივერსიტეტელები, პროფესორ/მასწავლებლები და სტუდენტები გვეხმარებიან. ჩვენ ყოველი მათგანის მადლიერები ვართ.

### მიმდინარე და მომავლის პროექტები

ძალიან გვახარებს, რომ ჩვენს პროექტებში აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში მცხოვრები მოსწავლეები, უფროსკლასელები და უმცროსკლასელები. ამ მხრივ სანიმუშოა ჩვენს პროექტებში ქალაქ ფოთის მოსწავლეების აქტიური ჩართულობა (კოორდინირებას უწევს ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი კესო კალანდარიშვილი). პატარებს ძალიან მოსწონთ თამაში, რომელიც ცნობილი ზღაპრების ტრანსფორმაციას გულისხმობს – გაჩნდნენ ხაკერი წითელქუდები, უცხოპლანეტელი გოჭები და კიდევ ბევრი სხვა ზღაპრულ/ფანტასტიკური პერსონაჟი (პროექტს ორგანიზებას უწევს პროფესორი ნინო პოპიაშვილი).



დაგეგმილი გვაქვს ამ იდეის განვითარება საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეებისათვის. ვიწყებთ ანალოგიურ თამაშს „შექმენი შენი იგავ-არაკი“, ხოლო სექტემბრისათვის მზადდება პროექტი კრეატიული უფროსკლასელებისათვის – „მინი-პიესა – თქვი შენი სათქმელი 3 წუთში“. სხვათა შორის, მოსწავლეებს მათემატიკაც აინტერესებთ – მე-3-დან მე-9 კლასის ჩათვლით, მიმდინარეობს კონკურსი მათემატიკაში „4 x 4 ამოცანა და კიდევ ცოტა“, რომელშიც თბილისისა და რეგიონის მრავალი მოსწავლე მონაწილეობს (კონკურსის ხელმძღვანელია თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის თანამშრომელი აველინა დავითულიანი).

### „თსუ დესპანი“ – სტუდენტები მომავალი სტუდენტების დასახმარებლად

ჩვენი უნივერსიტეტის კიდევ ერთი უნიკალური სტუდენტური პროექტია „თსუ დესპანი“. ეს პროექტი მოსწავლეებისა და უნივერსიტეტის დაახლოებას ემსახურება და უკვე მერვე წელია ხორციელდება. მას ხელმძღვანელობენ თსუ-ს დოქტორანტები – გიორგი გრიგოლაშვილი და დემეტრე მოდებაძე. თავდაპირველად, ეს პროექტი გულისხმობდა სათანადოდ მომზადებული სტუდენტების ვიზიტებს საკუთარ სკოლებში, შეხვედრებს მოსწავლეებთან და საუბრებს უნივერსიტეტის, სტუდენტური ცხოვრების შესახებ. შემდეგ პროექტი შეივსო კიდევ ერთი კომპონენტით — „გააცანი შენი პროფესია“ – რომლის ფარგლებშიც, სტუდენტები საკუთარ სპეციალობებს აცნობდნენ მოსწავლეებს. წლების განმავლობაში, პროექტის ფორმატი დროის მოთხოვნის შესაბამის ცვლილებას თუ განვითარებას განიცდიდა, ამ საქმიანობაში ფართოდ არიან ჩართული აზერი და სომეხი სტუდენტები, ისინი თვითონ არიან საკუთარი სკოლების მოსწავლეებისათვის კარიერის დაგეგმვის საუკეთესო მაგალითები. წელს, ეპიდემიის გათვალისწინებით, „თსუ დესპანი“, სხვა პროექტების მსგავსად, დისტანციური ფორმით აგრძელებს თავის დაგეგმილ აქტივობებს. „Online envoy“-ში ჩაერთო 300-მდე სტუდენტი, რომლებიც დისტანციურად უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ, მომავალ სტუდენტებს. პროექტში აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი 1+4 პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტები. მარნეულის და ბოლნისის მკაცრი კარანტინის პირობებში, ჩვენი აზერი მოქალაქეების მხარდასაჭერად და დასახმარებლად, ქვემო ქართლის ომბუდსმენის ოფისის მონაწილეობით, ორგანიზება გავუკეთეთ ფსიქოთერაპიის ლექციებზე მათ თავისუფალ წვდომას და სხვ.

### ანალიტიკური აზროვნების განვითარებისთვის

ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო პროექტად სეზონური სკოლები და სადისკუსიო კლუბი მიმაჩნია. უფროსკლასელებისათვის სოციალურ თემატიკაზე ფოკუსირებული რამდენიმე სეზონური სკოლა ჩატარდა: „ადამიანი და საზოგადოება“, „ადამიანი, საზოგადოება და დედამიწა“, „მე და საზოგადოება“. ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ სამოქალაქო საზოგადოება მაშინ არის ქმედითი, როდესაც ის ინდივიდუმებისგან და არა ბრბოსგან შედგება. ამისათვის საჭიროა, რომ სუბიექტს ჰქონდეს უნარი, არ მოექცეს „ავტორიტეტთა“ გავლენის ქვეშ, კრიტიკულად შეაფასოს ყოველი „ავტორიტეტული“ მოსაზრება, არ გახდეს მავანთა მხრიდან მარტივი მანიპულაციის ობიექტი, შეინარჩუნოს თავისუფალი განსჯის უნარი. საუნივერსიტეტო სივრცე, ისტორიულად, ანალიტიკური აზროვნების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ოაზისად ჩამოყალიბდა და ჩვენც, თსუ საბავშვო უნივერსიტეტს, უპირველეს ამოცანად თავისუფალი და დამოუკიდებელი, ანალიტიკურად მოაზროვნე პიროვნების აღზრდის ხელშეწყობა მიგვაჩნია. ამიტომ, თსუ საბავშვო უნივერსიტეტის სეზონური სკოლებისა და სადისკუსიო კლუბის უმნიშვნელოვანესი აღმზრდელობითი მიზანი მოსწავლეებში თავისუფალი, ანალიტიკური აზროვნების განვითარების, საკუთარი შეხედულების ფორმულირების და მისი საჯარო დისკუსიის ფორმატში დაცვის უნარისა და გამბედაობის სწავლებაა, რაც მოქალაქის ჩამოყალიბების ხელშეწყობას ნიშნავს. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მიმართულებით გასაკეთებელი ძალიან ბევრია არა მარტო სკოლაში, არამედ მთელ ქვეყანაში – Covid 19-ის ეპიდემიამ გამოავლინა „ავტორიტეტული“ ინსტიტუციების მხრიდან მასობრივი ზემოქმედების მოხდენის დაუოკებელი სურვილი და მათთვის სრულიად არარელევანტურ საკითხებში არაკომპეტენტური და უპასუხისმგებლო ჩარევის არაერთი შემთხვევა. ამის მაგალითად Covid 19-ისგან დამცავი ჯერ კიდევ არარსებული, მაგრამ ძალიან საჭირო ვაქცინაციის საწინააღმდეგოდ გამოთქმული მოსაზრებებიც კმარა...

### პანდემიის დასრულების შემდეგ

პირველ რიგში, ჩვენს სამომავლო გეგმებში, სასკოლო განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში დახმარებასთან ერთად, მთავარ ადგილს თანამედროვე, თავისუფალი, დამოუკიდებლად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდის ხელშეწყობის მიმართულებით მუშაობა დაიკავებს. რაც შეეხება თსუ საბავშვო უნივერსიტეტის სამომავლო გეგმებს – გაგრძელდება ყველა ის პროგრამა, რომელიც ამჟამად პოპულარობით სარგებლობს, ჩატარდება ექსკურსიები, ლექციები და ლაბორატორიული მეცადინეობები ნორჩთა სკოლებში, სეზონური სკოლები და კონფერენციები; აქტიურად იმუშავებს პროექტი „თსუ-დესპანი“ და ა.შ. ამ არსებულ საქმიანობას დაემატება სპეციალური პროგრამები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის. დიდი ყურადღება დაეთმობა სამოქალაქო აღზრდისა და აქტივიზმის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელებას.

### COVID 19 და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა

Covid 19-ის პანდემიამ საზოგადოების მხრიდან საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერების საჭიროება წარმოაჩინა. დედამიწის დღევანდელი ეკოლოგიური მდგომარეობის ახლო მომავლის პერსპექტივის შეფასების ფონზე, შესაძლებელია, ეს პანდემია მოსალოდნელი დიდი გლობალური კატასტროფების პატარა რეპეტიციის სახით წარმოვიდგინოთ. მაგრამ განსხვავებით ამ პანდემიისაგან, რომელიც მართლაც მოულოდნელი იყო, ეკოლოგიური კატასტროფების პრედიქტორები ნათლად ჩანს და კარგად არის ცნობილი — გლობალური დათბობა, გარემოს დაბინძურება, რესურსების განადგურება და ა.შ. რას ვაკეთებთ ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები, როდესაც ჩვენს თვალწინ უპასუხისმგებლოდ და დანაშაულებრივად ©ნადგურდება ბუნება, წყლის რეზერვუარები, მწვანე საფარი და ა.შ. პანდემიამ ქვეყნის ეკონომიკური სიმყიფეც ნათლად გამოაჩინა – ქვეყანას 3-4 თვით „დაპაუზების“ გაძლების რესურსიც კი არ აღმოაჩნდა. სოფლის მეურნეობა ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოებას, მრეწველობა არ არსებობს, მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობის ზღვარზეა. ამ რეალობის პირობებში, რაზე უნდა იყოს ფოკუსირებული საზოგადოების ძალისხმევა? – რა თქმა უნდა – დაავადებულების მკურნალობა, მშივრების დაპურება და ა.შ. მაგრამ ასევე გადაუდებელია – სასკოლო, საუნივერსიტეტო, პროფესიული განათლების თანამედროვე სტანდარტის უზრუნველყოფა.

პირველ რიგში – კარგი სასკოლო განათლება, რომელმაც საზოგადოების დიდი ნაწილი იმ მინიმალური ცოდნით უნდა შეაიარაღოს, რომელიც საკმარისი იქნება, რომ სპეციალური კვლევის ჩატარების გარეშე ვიცოდეთ: ერთი და იგივე კოვზი, სულ ერთია, რა შენობაში იქნება ის, მრავალი ადამიანის მიერ გამოყენებული, ინფექციის გადადების რეალურ გზას წარმოადგენს; მეორე – კონკურენტუნარიანი უმაღლესი და პროფესიული განათლება, რომელიც ადამიანს საკუთარი ძალების რწმენას განუმტკიცებს და საკუთარი მომავლის აშენებაში დაეხმარება. და მთავარი – სოციალურ/კულტურული აღზრდა და განვითარება, რამაც ადამიანში თანამედროვე ჰუმანისტური მსოფლმხედველობა უნდა ჩამოაყალიბოს – ადამიანის უფლებების პატივისცემა, პატიოსნება და პასუხისმგებლობა საზოგადოების, ქვეყნის და მომავლის წინაშე.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

## ინკლუზიური განათლება

# სსსმ მოსწავლეების დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით

COVID 19-ით გამოწვეული პანდემიის რეჟიმში, სამინისტრო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. საყოველთაო იზოლაციის პირობებში, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ, აუცილებელი გახდა სსსმ მოსწავლეებისათვის ისეთი რელევანტური საგანმანათლებლო სერვისის შეთავაზება, რაც მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სენსიტიურია. ვინაიდან მათი საჭიროებები მრავალფეროვანია, დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზებისას, დღის წესრიგში სწორედ მრავალფეროვანი საჭიროებების გათვალისწინება დადგა.

ამ მიზნით, სამინისტრომ არაერთი რეკომენდაცია შეიმუშავა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მშობლებისა და სპეციალური მასწავლებლებისათვის. ასევე, მომზადდა შემოქმედებითი და განმავითარებელი აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მშობლებს, მასწავლებლებს და სპეციალურ მასწავლებლებს, სახლის პირობებში, სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შესთავაზონ მოსწავლეებს მარტივი, საინტერესო და განმავითარებელი აქტივობები.



მომზადდა სარეკომენდაციო ვიდეორგოლი სპეციალური მასწავლებლებისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა დისტანციური სწავლების ხელშეწყობისთვის.

https://www.facebook.com/MESGeorgia/videos/928603047600856/

სამინისტროს მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის დისტანციური სწავლების კუთხით განხორციელებული აქტივობები გააცნო განათლების მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე დგებუაძემ საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და, მათთან ერთად, სამომავლო პროექტები განიხილა.

სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი, სკოლების მხარდაჭერის ფარგლებში, კოორდინაციას უწევს სკოლების სპეციალურ მასწავლებლებს, გასცემს რეკომენდაციებს სსსმ მოსწავლეების დისტანციური სწავლებასთან დაკავშირებით, სკოლის სპეციალურ მასწავლებლებს უზიარებს ინფორმაციას სასწავლო რესურსებისა და სიახლეების შესახებ, აწარმოებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგს, ისგ-ის მიზნების გათვალისწინებით, სპეციალურ მასწავლებლებს დისტანციური გაკვეთილის დაგეგმვაში ეხმარება. დისტანციურ დავალებებში გათვალისწინებულია მათემატიკის, თხრობის, წერის, კითხვისა თუ კოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

სსსმ მოსწავლეთა განათლებას ხელს უწყობს პროექტი „ტელესკოლაც“, სადაც გაკვეთილების დაგეგმვისას, სპეციალური პედაგოგებისა და ფსიქოლოგების რეკომენდაციებით, გათვალისწინებულია აღნიშნულ მოსწავლეთა ინტერესებიც. ყველა გაკვეთილის თარგმნას ჟესტური ენის თარჯიმანი უზრუნველყოფს.

აკადემიური და შემეცნებითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მომზადდა სახლის პირობებში შესასრულებელი აქტივობების შესახებ ვიდეორგოლები, რომლებიც ტიხრების სახით გადის „ტელესკოლაში“. ვიდეორგოლები გამიზნულია მშობლებისთვისაც, რათა ოჯახის პირობებში არსებული რესურსების გათვალიწინებით, მათ ბავშვების უნარების განვითარების ხელშეწყობა შეძლონ.

„ტელესკოლა“ ასევე ძალიან სასარგებლოა მიუსაფარი ბავშვებისთვის, რომლებიც, ამ ეტაპზე, დროის უმეტეს ნაწილს დღის ცენტრებში ატარებენ.

მინისტრის მოადგილესთან შეხვედრაზე, გარდა მიმდინარე პროექტებისა, არსებული გამოწვევები და სამომავლო გეგმებიც განიხილეს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პოზიტიურად შეაფასეს სამინისტროს მხრიდან განხორციელებული აქტივობების ოპერატიულობა და ეფექტურობა და დისტანციურ სწავლებაში, ინკლუზიური განათლების მიმართულებით, მინისტრის მოადგილეს საკუთარი ინიციატივები გაუზიარეს.

სწავლების მეთოდი

# ონლაინ სწავლების კვალდაკვალ



სადაც არის, დამთავრდება სასწავლო წელი — უცნაური, თავისებური, ტვირთმძიმე და ჯერჯერობით გამოუცნობი. ყველაფერი დაახლოებით სამი თვის წინ დაიწყო; მაშინ, როცა კორონავირუსის პირველი შემთხვევა გამოვლინდა ჩვენს ქვეყანაში. ყველაფერი თავდაყირა დადგა. ბევრისგან გამიგია, დრო თითქოს გაჩერდაო. დრო როგორ გაჩერდა, არ ვიცი, მაგრამ ჩვენთანაც და მსოფლიოშიც უცნაური ფორმისა და სახეობის სტაგნაცია რომ დაიწყო ყველა მიმართულებით, ეგ

ნოთ მასწავლებლებს თავინთი როლი“ ლობისტი) ფიქრობს, რომ მასწავლებლის აქტიური ჩართულობა გადამწყვეტია სწავლების ყველა კომპონენტში და სწავლება მხოლოდ „ფასილიტაციით“ არ უნდა შემოიფარგლოს. მასწავლებლის განუზომელ როლსა და ფუნქციაზე დღევანდელმა დღემაც დაგვაფიქრა. პანდემიამ დღის წესრიგში დააყენა სწავლების ალტერნატიული ვარიანტი. სხვა რელსზე მდგარ მასწავლებელს კურსისა და მიმართულების შეცვლა მოუწია.

*ბევრისგან გამიგია, დრო თითქოს გაჩერდაო. დრო როგორ გაჩერდა, არ ვიცი, მაგრამ ჩვენთანაც და მსოფლიოშიც უცნაური ფორმისა და სახეობის სტაგნაცია რომ დაიწყო ყველა მიმართულებით, ეგ კი ფაქტია. ამ მოცემულობამ აქამდე არსებული ცხოვრების წესის შეცვლა გახადა გარდაუვალი. არც განათლების სისტემა დარჩა ვალგადაუხდელი.*

კი ფაქტია. ამ მოცემულობამ აქამდე არსებული ცხოვრების წესის შეცვლა გახადა გარდაუვალი. არც განათლების სისტემა დარჩა ვალგადაუხდელი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით სკოლებისთვის რეკომენდაციები გასცა, რომლის მიხედვით, სასწავლო დაწესებულებებს დაევალა (შეძლებისდაგვარად) დისტანციური სწავლებისას უსაფრთხო არხების გამოყენება; კერძოდ, სამინისტროს რჩევით, უპირატესობა მიენიჭა არა სოციალურ ქსელებს, არამედ სპეციალურად სამინისტროს მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო არხებს; გარდა ამისა, მითითება/რეკომენდაციაში სწავლის პროცესის წარმართვაზეც იყო საუბარი.

ჩვენი ქვეყანა, სხვა სახელმწიფოების დარად, ჩაერთო ამ პროცესში და ბუნებრივია, ბევრ სირთულესაც წააწყდა. მართალია, სკოლებს უფლება მიეცათ, დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ ქართულ რეალობაში, ქალაქებსა და ზოგიერთ სოფელს შორის, შეინიშნებოდა ციფრული უთანასწორობა, რაც იქ მცხოვრებ ადამიანთა სამართლიან გულისტკივილს იწვევდა. გარდა ამისა, ყველა მოსწავლეს არ ჰქონდა შესაბამისი ელექტრომოწყობილობა, ინტერნეტი, ან თუ ჰქონდათ, ერთ ოჯახში ორი და სამი შვილის შემთხვევაში, პრობლემა იყო მათი ჩართვა საგაკვეთილო პროცესში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგიერთი მასწავლებელიც აღმოჩნდა კომპიუტერული მოწყობილობის გარეშე და ა.შ. საქსტატის 2019 წლის მონაცემების მიხედვით, კომპიუტერით უზრუნველყოფილია საქართველოს მოსახლეობის 62%. ეს კი, დამეთანხმებით, სასწავლო პროცესის უმტკივნეულოდ გაგრძელებას ნამდვილად შეუშლიდა ხელს. ამ პროცესმა სოციალურ ფენებს შორის დიფერენცირება თვალნათელი გახადა და ბევრი ტყუილი და მართალი ამოატივტივა ცხოვრების ზედაპირზე.

აღსანიშნავია, რომ ონლაინ სწავლების ასინქრონული, სინქრონული და შერეული მოდელები არსებობს.

**ასინქრონული სწავლებისას** მასწავლებელი და მოსწავლეები ერთდროულად არ თანაყოფობენ. ეს პროცესი აერთიანებს ონლაინ ფორუმებს, ბლოგებს, იმეილებს, სოციალურ ქსელებს. საქართველოში გვქონდა/გვაქვს ასეთი სასწავლო კურსები, მაგ., სილქნეტის https://silkschool.ge/ სკოლა, რომელიც კლასების საგნების, თემების მიხედვით არის დაყოფილი. გარდა ამისა, მოსწავლეები და მასწავლებლებიც (განსაკუთრებით ტქნიკურ საგნებში) აქტიურად მიმართავენ ხანის აკადემიას (https://ka.khanacademy.org/), რომელიც 2006 წელს არაკომერციულ საგანმანათლებლო ორგანიზაციად

*მართალია, სკოლებს უფლება მიეცათ, დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ ქართულ რეალობაში, ქალაქებსა და ზოგიერთ სოფელს შორის, შეინიშნებოდა ციფრული უთანასწორობა, რაც იქ მცხოვრებ ადამიანთა სამართლიან გულისტკივილს იწვევდა.*

დაარსდა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და ჰარვარდის კურსდამთავრებულის, სალმან ხანის, მიერ. აკადემიის საიტზე უამრავი მიკროლექციაა ფიზიკა-მათემატიკაში, ისტორიაში, ასტრონომიაში, ჯანდაცვასა და მედიცინაში, საბუნებისმეტყველო საგნებში, ეკონომიკაში, ხელოვნების ისტორიაში და სხვა. ამ აკადემიის საგაკვეთილო კურსის ქართული ვერსიაც არსებობს ინტერნეტსივრცეში, რომელიც ეფექტურად ეხმარება საგნის პედაგოგებსა თუ მოსწავლეებს სახალისო და მოქნილი ტესტებითა და დავალებებით. გარდა ამისა, პანდემიის დროს გამოცხადებულ კარანტინში, ქართულ სატელევიზიო სივრცეში, გამოჩნდა ახალი საგანმანათლებლო ტელეარხი „პირველი არხი-განათლება“ (tvschool.ge)

*ის, რომ მასწავლებელი ე.წ. სკაფოლდინგის შემსრულებელი უნდა იყოს, ამას კონსერვატიული სწავლების პროცესშიც გვეუბნებოდნენ ქართველ მასწავლებლებს და სასწავლო დისციპლინების თამაშ-გართობით დაძლევისკენ მოგვიწოდებდნენ. უცხოური ქვეყნების გამოცდილებების გამოყენებაც უხვად იყო ჩვენს რეალობაში. ვეჭვობ, რომ სხვების გამოცდილება ჩვენს რეალობას თუ არ მოვარგეთ, არაფერში გამოგვადგება.*

ჯერ კიდევ 2016 წელს, ალექსანდრე ჯეჯელავას მინისტრობის დროს, აქტუალურ თემად დასახელდა დისტანციური სწავლების შემოტანა საგანმანათლებლო სივრცეში. განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული გეგმის წარდგენისას მინისტრმა ჯეჯელავამ დააანონსა ამ ტიპის სწავლების შემოტანის აუცილებლობა ქართული დიასპორების წარმომადგენლებთან და დასძინა, რომ 2017 წლიდან უცხოეთში მცხოვრები ათასობის ქართველი ბავშვი ჩაერთვებოდა ამ პროცესში. იგივე იგეგმებოდა მაღალმთიან რეგიონებშიც სხვადასხვა საგნის სპეციალისტის არყოლის გამო.

დისტანციური სწავლების გამართული მუშაობისთვის საჭიროა ადამიანური და ტექნიკური რესურსი, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობა, გარდა ამისა, კოლაბორაციული (თანამშრომლობითი) სწავლების ელემენტები, ჯგუფური სავარჯიშოები ონლაინ „კლასის“ ჩამოსაყალიბებლად. სასწავლო მასალა და ინსტრუქციები ვიზუალურად ინტერაქციული უნდა იყოს; თუ მულტიმედიურ რესურსებს გამოვიყენებთ, ვფიქრობ, მეტად წახალისდებიან ვირტუალურ კლასში მყოფი „მორიდებული“, ნაკლებად აქტიური მოსწავლეები.

ის, რომ მასწავლებელი ე.წ. სკაფოლდინგის შემსრულებელი უნდა იყოს, ამას კონსერვატიული სწავლების პროცესშიც გვეუბნებოდნენ ქართველ მასწავლებლებს და სასწავლო დისციპლინების თამაშ-გართობით დაძლევისკენ მოგვიწოდებდნენ. უცხოური ქვეყნების გამოცდილებების გამოყენებაც უხვად იყო ჩვენს რეალობაში. ვეჭვობ, რომ სხვების გამოცდილება ჩვენს რეალობას თუ არ მოვარგეთ, არაფერში გამოგვადგება. ამას კვლევებიც ნათელყოფს. განათლების ცნობილი მკვლევარი გერტა ბიესტა (კომპანია „დავუბრუ-

რომელმაც მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ინტერნეტის გარეშე დარჩენილ მოსწავლეებს, მასწავლებლებს (და არა მარტო მათ).

**სინქრონული სწავლების** დროს სასწავლო პროცესი ონლაინ მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი და მოსწავლე ერთსა და იმავე დროს უნდა იყვნენ ჩართული ვირტუალურ საგაკვეთილო სივრცეში. სასწავლო პროცესი დროშია გაწერილი. ამ დროს შესაძლებელია ვიდეო და აუდიომასალის გაზიარება, ელექტრონული დაფის გამოყენება, ვებინარი (ინფორმაციის რეალურ დროში განხილვის, გაგზავნის, მიღების შესაძლებლობა; ინტერაქციული პრეზენტაცია ინტერნეტში) და ა.შ.

ასევე არსებობს **შერეული სწავლების** მეთოდი, რომელიც

*ვფიქრობ, რომ ეს პროცესი თუ დიდხანს გაგრძელდა და ტრადიციული სასწავლო გარემო ონლაინ გაკვეთილებმა შეცვალა, ყველას ზედმეტად მიაჯაჭვებს ტექნოლოგიებთან და ადამიანების იზოლაციას, გუნდური მუშაობისა და სხვა სოციალური უნარების დაქვეითებას გამოიწვევს; ეს კი არც მეტი, არც ნაკლები – ადამიანთა დესოციალიზაციის პროცესს.*

აერთიანებს სინქრონული და ასინქრონული სწავლების კომპონენტებს. სკოლების მუშაობის სტილი შეესაბამება შერეული სწავლების მეთოდს. მისი უპირატესობა სასწავლო პროცესის მოქნილობაა დროსა და სივრცეში.

განათლების სფეროში აქტიურად მუშაობენ ონლაინ სწავლებისას მეთოდებისა და სტრუქტურის დახვეწასა და მრა-

ვალფეროვნებაზე. მასწავლებელს სთავაზობენ, გამოიყენოს მარკირების, დემონსტრირების მეთოდები. გარდა ამისა, შესაძლებელია კონკრეტული მედიარესურსებით სწავლება, რაც მედიაწიგნიერების კომპეტენციის განვითარებას შეუწყობს ხელს. ონლაინ სწავლებისას გვთავაზობენ თანამშრომლობითი სწავლების მეთოდის გამოყენებას, ჯგუფური მუშაობის დაგეგმვასა და სწორად წარმართვას, როცა ე.წ. ჩათჯგუფებში მოსწავლეები დავალებას ოფლაინ რეჟიმში ასრულებან. გარდა ამისა, შემოთავაზებულია მოსწავლეთა წამახალისებელი აქტივობებიც, მასწავლებელს შეუძლია შეკრიბოს ჯგუფების მიერ შესრულებული დავალებები და შექმნას ვიდეოკოლაჟი და ვიდეოკლიპი, ვირტუალური გამოფენა და ა.შ. https://www.artsteps.com).

ვფიქრობ, ეს მომავლის საქმეა, ახლა კი მასწავლებლები და მოსწავლეები ურთულესი ამოცანის წინაშე დადგნენ. ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებას დრო და გამოცდილება სჭირდება. ყველაფერს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს.

ვფიქრობ, რომ ეს პროცესი თუ დიდხანს გაგრძელდა და ტრადიციული სასწავლო გარემო ონლაინ გაკვეთილებმა შეცვალა, ყველას ზედმეტად მიაჯაჭვებს ტექნოლოგიებთან და ადამიანების იზოლაციას, გუნდური მუშაობისა და სხვა სოციალური უნარების დაქვეითებას გამოიწვევს; ეს კი არც მეტი, არც ნაკლები – ადამიანთა დესოციალიზაციის პროცესს. ცოტა რთულია, „რეალურ ადამიანად“ იგრძნო თავი ამ ვირტუალურ სამყაროში, სადაც მხოლოდ ხმა ისმის (ზოგჯერ გამოსახულებაც არის), ისიც არაბუნებრივი და ცოტა ყალბიც. მოსწავლეები დაიღალნენ ვირტუალურ სამყაროში „მეგობრობით“. მოენატრათ სკოლა, კლასელები, თქვენ წარმოიდგინეთ, მასწავლებლები. მიაჩნიათ, რომ ეს არასრულყოფილი განათლების ხელისშემწყობი იქნება და მომავალი თაობის სასიკეთოდ არ იქნება მიმართული. გაკვეთილებზე თითქმის ყოველთვის კამერები აქვთ გამორთული, რაც მასწავლებელს ხელს უშლის იმაში, რომ მოსწავლეთა განწყობა ან მასალის გაგების უნარი შეამოწმოს.

ერთხელ, ჩემს მოსწავლეს სურვილი გაუჩნდა, „Pink Floyd“-ის „I Wish You Were Here“ მოგვესმინა. სიტყვებს თუ დავაკვირდებით, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის შესაბამისიაო. მუსიკის ტექსტის შინაარსი საყვარელი ადამიანის მონატრებაზე, უიმისობით განცდილ ტკივილზეა. ასე მენატრებითო, — თქვა გოგონამ და ყველა გავჩუმდით. ეს ტკივილიანი სიხარული ჩუმი ცრემლებით გამოვხატე და დარჩენილი გაკვეთილის წუთები ამ სიმღერას დავუთმეთ.

ფაქტია, რომ სამყაროში სააზროვნო სივრცის, ღირებულებების, მიდგომების რეკონსტრუირება მოხდება. ამ პროცესში განათლების სისტემაც ისევე მოხვდება, როგორც დანარჩენი ინსტიტუციები. ვინ და რა გადაურჩება ნგრევა-შენების პროცესს, ვინ იცის? წინ საინტერესო მომავალი გველის, იმედია, უპერსპექტივო არა.

**მაია მენთეშაშვილი**

*ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. http://platforma.ge/?p=3674
2. http://www.inotles.eu/ka/% 8
3. http://mastsavlebeli.ge/?p=25992
4. https://www.youtube.com/watch?v=YasemZNLN5Y
5. Biesta, G. J. (2012). Giving teaching back to education: Responding to the disappearance of the teacher. Phenomenology & Practice, 6(2), 35-49.

უმაღლესი განათლება

# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებსა და ლექტორებს უსაფრთხო გარემოს სთავაზობს

*გვესაუბრება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი კახაბერ კორძაია*



**ბატონო კახაბერ, როგორ აპირებთ დისტანციურად შუალედური თუ საბოლოო გამოცდების ჩატარებას ან თუნდაც შეფასების განხორციელებას?**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი ინსტიტუცია იყო, რომელმაც, 16 მარტიდან, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი დისტანციურად დაიწყო. ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა უნივერსიტეტში, ბოლო ორი წლის განმავლობაში, სწავლა-სწავლების პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის თანმიმდევრულ პოლიტიკას.

დისტანციური სწავლების დაწყებამდე უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შექმნა ონლაინ სწავლების მართვის ჯგუფი და განისაზღვრა მათი მოქმედების გეგმა, ელექტრონული პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც განხორციელდებოდა სწავლება, ამ პლატფორმების გამოსაყენებლად გადამზადდა ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი. დღეისათვის უნივერსიტეტში ელექტრონულ სწავლებას, აკადემიური პერსონალიდან, 320 ადამიანი 550 სასწავლო კურსისთვის ახორციელებს. ასევე, შემუშავებულია სწავლების ხარისხის შემოწმების მექანიზმები და მიმდინარეობს ონლაინ ლექციებისა და სემინარების მონიტორინგი.

უნივერსიტეტი რამდენიმე ელექტრონულ პლატფორმას იყენებს, ესენია: Camtasia – ლექციების მომზადებისა და აუდიოვიზუალური ჩაწერის პროგრამა, Cisco Webex და Zoom პლატფორმები, ასევე Moodle-ის სისტემა.

კსუ-ში ელექტრონული გამოცდების სისტემა 2019 წლიდან იყო დანერგილი, შესაბამისად, Moodle-ის სისტემის გამოყენების პრაქტიკა უკვე არსებობდა. დღეისათვის ყველა შუალედური გამოცდა ჩატარდა ამავე პლატფორმით. უნივერსიტეტს ელექტრონულ გამოცდაზე შესვლა და მიმდინარეობა შეზღუდული აქვს დროში. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მომზადებულია საგამოცდო საკითხების ბანკი თითოეულ საგანში, ამით უზრუნველვყოფთ ინდივიდუალური საგამოცდო ბილეთების გენერირებას თითოეული სტუდენტისთვის, კონკრეტულ მოცემულ საგამოცდო საათზე. საგამოცდო საკითხები შერეული ხასიათისაა, მოიცავს როგორც ღია, ასევე დახურულ კითხვებს, ეს კი საშუალებას იძლევა, სტუდენტი ობიექტურად შეფასდეს.

თამამად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ კმაყოფილები ვართ მიღებული შედეგებით და შუალედური გამოცდების ჩაბარება აკადემიურად მაღალი სტანდარტით შეგვიძლია შევაფასოთ. სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ფინალური გამოცდებიც ჩატარდება ელექტრონულად, moodle-ის საშუალებით, ეს მოგვცემს შესაძლებლობას, დამატებითი საფრთხის წინაშე არ დავაყენოთ ჩვენი სტუდენტების ჯანმრთელობა.

**ხართ თუ არა მზად, რომ დააკმაყოფილოთ სამინისტროს რეკომენდაციები და, გაწერილი ვალდებულებების საფუძველზე, სტუდენტებსა და პედაგოგებს უსაფრთხო გარემო შეუქმნათ შეზღუდვების მოხსნის შემდეგ?**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კსუ 2020 წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნით გამოცდებსაც ელექტრონულად, moodle-ის საშუალებით ჩაატარებს.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2017 წლიდან, თანამშრომლობს ლიცენზირებულ კომპანიასთან, რომელიც წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით, წელიწადში რამდენჯერმე, ახორციელებს სადეზინფექციო, სადერატიზაციო და სადეზინექციო სამუშაოებს.

საქართველოში ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორივე სასწავლო კორპუსში, სველი წესით, სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა. გარდა ზემოთ აღნიშნული სამუშაოებისა, უნივერსიტეტის შენობებში დამონტაჟდა სპეციალური მოწყობილობები ხელის სადეზინფექციო ხსნარით დამუშავებისთვის. უნივერსიტეტის მარაგებშია ვირუსისგან თავდაცვის ყველა საჭირო საშუალება - სადეზინფექციო ხსნარები, დეზობარიერები, პირბადეები, ხელთათმანები.

კსუ მზადაა, საგამოცდო სივრცეებში მიიღოს სტუდენტები და სრულად აკმაყოფილებს სამინისტროს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, გაწერილი ვალდებულებების გათვალისწინებით, შესაბამისად, სტუდენტებსა და ლექტორებს უსაფრთხო გარემოს სთავაზობს.

ზოგიერთ პროგრამაზე, სპეციალობების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, დიპლომის დაცვები უნივერსიტეტში ჩატარდეს. გაწერილი იქნება გრაფიკი და სტუდენტებს ინდივიდუალურად მოუწევთ გამოცხადება გაწერილი გრაფიკის შესაბამისად, დაცვები კი ჩატარდება უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით.

**რა მეთოდს სთავაზობს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს, სწავლის საფასურის გადასახდელად?**

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გადახდის სისტემა სრულადაა მორგებული სტუდენტებზე, მათ შესაძლებლობა აქვთ, სწავლის წლიური გადასახადი 6 ეტაპად დაფარონ. მიმდინარე სემესტრში, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ, მიემართათ დეკანატისთვის და შეემუშავებინათ მათთვის ხელსაყრელი გადახდის გრაფიკი, სადაც მათ სრული თავისუფლება ჰქონდათ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეღავათებით სტუდენტების საკმაოდ დიდმა ნაწილმა ისარგებლა და ისინი შეფერხების გარეშე ესწრებიან ონლაინ ლექცია/სემინარებსა და გამოცდებს.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

დაიჯესტი

## 2020 წლის სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის ფინალისტები დასახელდნენ

განათლების კოალიციის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივითა და ორგანიზებით მიმდინარე სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის ფინალისტები დასახელდნენ.

**სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის ფინალისტები არიან:**

- **ინა ბიწაძე** – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლის დირექტორი;
- **ლენა გომართელი** – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის დირექტორი;
- **მორის დანდურიშვილი** – ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი;
- **მარინა ისკაკოვა** – ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის დირექტორი;
- **გელა მაჭარაშვილი** – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლის დირექტორი;
- **ვარდენ ნიქაბაძე** – მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის N2 საჯარო სკოლის დირექტორი;
- **მიმოზა ღოლიჯაშვილი** – გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის დირექტორი;
- **ნინო წიფიანი** – წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარეთის საჯარო სკოლის დირექტორი;
- **მამუკა ხამხაძე** – ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლის დირექტორი;
- **შორენა ხუხუა** – ქალაქ მარნეულის N2 საჯარო სკოლის დირექტორი.

კონკურსის სამი გამარჯვებული დირექტორი სექტემბრში გამოვლინდება.

- გრან-პრის მფლობელ დირექტორს პრიზის სახით გადაეცემა 5000 ლარი, ხოლო სკოლას სპეცპროექტის განსახორციელებლად – 30 000 ლარი.
- სპეციალური პრიზის მფლობელ დირექტორებს პრიზის სახით გადაეცემათ 2000-2000 ლარი. მათი სკოლების მხარდაჭერის ერთიანი ფონდი შეადგენს 25 000 ლარს.
- სკოლებს შორის თანხის გადანაწილებაზე გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის საბჭო.
- სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის მიზანია საჯარო სკოლის პრესტიჟისა და ავტორიტეტის გაზრდის მხარდაჭერა, წარმატებული დირექტორების გამოვლენა და მათი გაცნობა საზოგადოებისათვის; სკოლის მართვის პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობა და სწავლა-სწავლების შედეგების გაუმჯობესებაზე მიმართული შიდა სასკოლო ძალისხმევის მხარდაჭერა საქართველოს საჯარო სკოლებში.
- **კონკურსს ახორციელებს განათლების კოალიცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით. პროექტის გენერალური სპონსორია გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი. სხვა მხარდამჭერები არიან: კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (ctc), „თიბისი“, ტელეკომპანია „იმედი“, KPMG Georgia და მარკეტინგული კომპანია „4media“.**

## DAAD-ის სასტიპენდიო პროგრამების გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) სასტიპენდიო პროგრამების გამარჯვებულების დაჯილდოების ონლაინ ცერემონია გაიმართა. 2020 წლის სტიპენდიებზე განაცხადი 329 პირმა გააკეთა, მათგან 28 შეირჩა. გამარჯვებულებს შორის არიან სკოლის მოსწავლეები, სხვადასხვა უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები, პოსტდოქტორანტები და აკადემიური პერსონალი.

დაჯილდოების ონლაინ ცერემონიაში მონაწილეობდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი. ცერემონიალს, ასევე, ესწრებოდნენ გერმანიის ელჩი საქართველოში ჰუბერტ ქნირში და DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი გებჰარდ როილი.

მინისტრის მოადგილემ მადლობა გადაუხადა გერმანიის ელჩს საქართველოში ჰუბერტ ქნირშს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას მრავალწლიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის განათლების ყველა საფეხურის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში. აღნიშნა, რომ გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურთან (DAAD), ისევე როგორც სხვა გერმანულ ორგანიზაციებთან, პარტნიორობა პროდუქტიული თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენს. მისი თქმით, წარმატებული თანამშრომლობა არსებობს გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურსა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. საქართველოში მეცნიერების განვითარებისთვის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდისა და DAAD-ის თანამშრომლობას ერთობლივი პროექტების შემუშავების საქმეში კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

*„მოხარული ვარ, რომ მონაწილეობას ვიღებ დაჯილდოების ონლაინ ცერემონიაში, – განაცხადა ნუნუ მიცკევიჩმა – მიუხედავად პანდემიისა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო და თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურობა, თქვენ შეძელით ამ წარმატების მიღწევა და მოიპოვეთ შესაძლებლობა, განაგრძოთ სწავლა და გაიუმჯობესოთ გერმანული ენის ცოდნა მდიდარი აკადემიური ისტორიის მქონე ქვეყანაში. გარდა ამისა, თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი ცოდნით წვლილი შეიტანოთ ქვეყნის განვითარებაში. გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ!“*

## „გლობალ სელმა“ წითელუბნისა და ხურვალეთის სკოლების მოსწავლეები პლანშეტებით დაასაჩუქრა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ეკა დგებუაძე** და კომპანია „გლობალ სელის“ საქართველოს დირექტორი **გიორგი მადუაშვილი**, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, გორის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან ახლოს მდებარე სოფლებს – წითელუბანსა და ხურვალეთს ეწვივნენ და ადგილობრივი სკოლების ყველა მოსწავლეს საჩუქრად „ჰუავეის“ პლანშეტები გადასცეს.

კომპანია „გლობალ სელმა“ სამინისტროს, მემორანდუმის საფუძველზე, სასკოლო პროცესისთვის ადაპტირებული სპეციალური მოდელის 150 ერთეული პლანშეტი სრულიად უსასყიდლოდ გადასცა.

სამინისტროში აცხადებენ: *„არსებული გამოწვევების ფონზე, როდესაც მსოფლიო დისტანციური სწავლის მეთოდზეა გადასული, მსგავსი პროექტების განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა ქართველ მოსწავლეებს ტექნოლოგიებთან წვდომა სწავლის დაწყების პირველივე ეტაპზე ჰქონდეთ. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესს შორის თანამშრომლობა და სოლიდარული ურთიერთობა. სამაგალითოა ის სოციალური პასუხისმგებლობა, რაც კომპანია „გლობალ სელმა“ გამოიჩინა საზოგადოების მიმართ და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სკოლების მოსწავლეებს პლანშეტები საჩუქრად გადასცა.“*

# ზოგჯერ უმჯობესია, საერთოდ არაფერი თქვათ




◆◆ აღელვებისას, აუტიზმის მქონე მცირე ბავშვს უქვეითდება სმენითი აღქმის უნარი. სიტყვები ხდება გაუგებარი, დამაბნეველი და გამაღიზიანებელი. მათი ნერვული სისტემა გადატვირთულია და ხდება ემოციების სპირალური წინსვლა. მათთან საუბრის მცდელობა ჰგავს ცეცხლზე საწვავის დასხმას. ჩვენ გვსურს მათი დახმარება, დამშვიდება, მათთვის პრობლემის მოგვარება, მაგრამ ჩვენი ყოველი მცდელობა მხოლოდ ხანძარს მატებს ცეცხლს. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია, რომ შემოვიფარგლოთ შეზღუდული სიტყვების რაოდენობით ან საერთოდ არაფერი ვთქვათ. იქიდან გამომდინარე, თუ როგორია გაღიზიანებისას ბავშვის სამეტყველო ენის აღქმის უნარი, ვფიქრობ, ქვემოთ მოყვანილი რჩევები გაგიწევთ დახმარებას.

◆◆ ბავშვს, რომელსაც გაღიზიანებისას შენარჩუნებული აქვს აღქმის უნარი, მიეცით მკაფიო განმარტება იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს. მაგალითად: „დათო, დაწექი საწოლზე" ბავშვს ნათლად აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს დასამშვიდებლად. აღნიშნული მხოლოდ იმ შემთხვევაში ამართლებს, თუ დაძლევის სტრატეგიები განხილული, შეთანხმებული და გავარჯიშებული იყო მანამდე და ბავშვს, ჯერ კიდევ, აქვს გარკვეული ხარისხის თვითკონტროლი. გქონდეთ მოქმედების თანმიმდევრული გეგმა, რომელიც ვარჯიშდება რეგულარულად. ნუ მოახდენთ ფოკუსირებას იმაზე, რასაც არასწორად აკეთებს ბავშვი. მსგავს პერიოდში არ არის სწავლების, მუქარის ან დასჯის დრო. უბრალოდ მიაწოდეთ ინფორმაცია ?ა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მოახდინოთ ბავშვის მოქმედების სტიმულირება.

◆◆ ბავშვთან, რომელსაც გაღიზიანებისას ნაწილობრივ აქვს შენარჩუნებული აღქმის უნარი, შეეცადეთ თავი აარიდოთ კითხვებს, მითითებებს, ინსტრუქციებს ან რჩევებს. მოერიდეთ ნებისმიერ თხოვნას, რომელიც მისგან მოითხოვს ფიქრს ან მოქმედებას. უბრალოდ გამოიყენეთ დეკლარაციული გამონათქვამები, რომლებიც ასახავენ, აღწერენ, უზრუნველყოფენ კომფორტსა და სიმშვიდეს. მაგალითად, თუ ბავშვი გაღიზიანებულია, უთხარით: „დათო, ნამდვილად გაღიზიანებული ჩანხარ!, ვიდრე დათო, რა გემართება? პირველ გამონათქვამში თქვენ აღწერთ, რასაც ხედავთ და არ მოითხოვთ მისგან რეაგირებას – პასუხის გაცემას. მეორე გამონათქვამში (კითხვაში) მოითხოვთ მისგან ინფორმაციის დამუშავებას და პასუხის გაცემას. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს მეტ გადატვირთვას და გამოიწვიოს უფრო დიდი მღელვარება. როდესაც ამბობთ: „დათო, ნამდვილად გაღიზიანებული ჩანხარ! თქვენ ასახავთ, თუ როგორ ხედავთ მის გრძნობებს და იწვევთ პასუხის გასაცემად, რა თქმა უნდა, მისი სურვილისამებრ. ეს მას არ აცბუნებს და უხერხულობაში არ აგდებს. შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს დამამშვიდებელი ან/და მანუგეშებელი სიტყვები, მაგრამ ნუ მოითხოვთ ბავშვისგან ფიქრს ან მოქმედებას. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მხარდამჭერ ურთიერთობას, ვიდრე ინსტრუქტირებას.

◆◆ ბავშვთან, რომელსაც გაღიზიანებისას საერთოდ არ შეუძლია სამეტყველო ენის აღქმა, ინფორმაციის მისაწოდებლად, შეგიძლიათ გამოიყენოთ სურათები. თუ თქვენ განიხილეთ და პრაქტიკაში გამოიყენეთ გამკლავების რამდენიმე სტრატეგია, იქონიეთ ამ სტრატეგიების სურათები იმისათვის, რომ გაღიზიანებისას აჩვენოთ მას და მისი სტიმულირება მოახდინოთ იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს. უბრალო სურათს შეუძლია ჰქონდეს პოზიტიური საპასუხო რეაქცია მაშინ, როდესაც სიტყვებს შეუძლია ბავშვის მეტად გაღიზიანება. ამ ბავშვებისთვის ვერბალური ინფორმაცია აღუქმელია, ხოლო ვიზუალური ინფორმაცია უფრო ადვილი აღსაქმელია.

◆◆ ბავშვთან, რომელიც ძალიან სწრაფად ღიზიანდება და ვერ უმკლავდება სამეტყველო ენის აღქმის პროცესს, უმჯობესია, რომ სიტყვები საერთოდ არ გამოიყენოთ. თქვენი სიტყვებით მისგან მოელით მიღებული ინფორმაციის დამუშავებას მაშინ, როდესაც ის გაღიზიანებულია. ამ ბავშვებიდან ზოგიერთმა შესაძლოა გულთბილად მიგიღოთ, რათა ფიზიკურად დაეხმაროთ დამშვიდებაში, მაგრამ სრულიად ვერ აღიქვამენ სიტყვებს. ასეთი ბავშვი უზრუნველყავით დამამშვიდებელი ფიზიკური შეხებით ან მოძრაობით და გამოიყენეთ, რაც შეიძლება მცირე რაოდენობის, სიტყვები. შესაძლოა უმღეროთ საბავშვო სიმღერის ან დამამშვიდებელი ფლერადობის მელოდია, მაგრამ არ გამოიყენოთ სიტყვები. უბრალოდ გამოიყენეთ თქვენი ხმის ტონი და რიტმი, რათა დაეხმაროთ დამშვიდებაში. ასევე, არიან ბავშვები, რომლებიც ვერ უმკლავდებიან ვერბალური სახის ურთიერთობას, იმ მიზეზით, რომ არიან უზომოდ გაღიზიანებულნი, დაბნეულნი და შეძრწუნებულნი. სიახლოვეს დგომამ, შესაძლოა, გაუჩინოს მათთვის საჭირო – უსაფრთხოების განცდა. იმის ცოდნა, რომ იქ ხართ, რათა დაიცვათ და მხარი დაუჭიროთ, არის ყველაფერი, რაც მათ სჭირდებათ.

◆◆ დაბოლოს, არიან ბავშვები, რომლებსაც უბრალოდ უნდათ მარტო ყოფნა. თქვენ თანდასწრებასაც კი შეუძლია მათი დათრგუნვა. ასეთ დროს, უკეთესია უკან დაიხიოთ და ბავშვს მისცეთ დიდი სივრცე საკუთარი თავის დასამშვიდებლად. უზრუნველყავით მისთვის ?საფრთხო სივრცე და ნებისმიერი ნივთი (რბილი სათამაშოები, ბალიშები და ა.შ.), რომელიც შეიძლება დაეხმაროს დამშვიდებაში, მაგრამ მასთან არ იქონიოთ არანაირი ინტერაქცია.

მცირე ბავშვისთვის ურთიერთობის ტიპი და სიტყვების რაოდენობა განსხვავებული იქნება იმისდა მიხედვით, თუ ვინ ჩაერევა, პრობლემა სად მოხდება, დღის რომელ მონაკვეთში და რამდენად შორს იქნებიან მელტდაუნისაგან. რაც უფრო ადრე ჩაერევით ?აღვივების ეტაპზე, უკეთესია, რადგან ადრეულ ეტაპზე მათ ბევრად კარგი აღქმის უნარი აქვთ. ასევე, ბევრი რამ არის დამოკიდებული, გაღიზიანების დროს, მათი ნერვული სისტემის მდგომარეობაზე და მათ გარშემო მიმდინარე გამღიზიანებლის ტიპზე. თუ მათ ჰქონდათ სტრესული დღე, ძილის ნაკლებობა, არიან მშივრები ან კარგად არ გრძნობენ თავს, ისინი კიდევ უფრო სწრაფად დაკარგავენ აღქმის უნარს.

გაღიზიანებისას, მნიშვნელოვანია იცოდეთ, თუ რა გავლენას ახდენს ბავშვზე თქვენი სიტყვები, ხმა და ურთიერთობის სტილი. მნიშვნელოვანია, მოვუსმინოთ, გავიგოთ და პატივი ვცეთ ბავშვის ამტანიანობის ხარისხს. ამით მას დავეხმარებით, ემოციური შეტევის დროს, თავი იგრძნოს ?აცულად, აღიარებულად და მხარდაჭერილად

**ნინო კაპერსკი**
*თბილისის მე-200 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი*

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება"
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.